საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE BODY

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 04

08 01 2016 წელი

მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრებისა და მეჩეთების მიერ გახარჯული ელენერგიის დავალიანების დაფარვის შესახებ

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 8 იანვრის სხდომის N1 ოქმის მე-5 საკითხის შესაბამისად,

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრებისა და მეჩეთების მიერ გახარჯული ელექტროენერგიის დავალიანების გადახდის დარეგულირებისათვის მოხდეს ერთგვარი დიფერენცირება და 2016 წლის 1 იანვრიდან გახარჯული ელექტროენერგიის დავალიანების დაფარვა განხორციელდეს შემდეგი სახით:

ა. ანაზღაურება მოხდეს მხოლოდ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ რელიგიურ სახლებზე (ეკლესია-მონასტრები და მეჩეთები).

ბ. მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული იმ ეკლესია-მონასტრებისა და მეჩეთებისათვის, სადაც შეყვანილია და სარგებლობენ ბუნებრივი აირით, გახარჯული ელექტროენერგიის დავალიანების დაფარვა მოხდეს 50 ლარამდე.

გ. მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული იმ ეკლესია-მონასტრებისა და მეჩეთებისათვის, სადაც არ არის შეყვანილი ბუნებრივი აირი, გახარჯული ელექტროენერგიის დავალიანების დაფარვა მოხდეს 100 ლარამდე, ხოლო კესალოს მონასტერს, მშენებლობის დამთავრებამდე, მოხმარებული ელექტროენერგიის დავალიანების დასაფარად დაუწესდეს ყოველთვიურად 300 ლარის ლიმიტი.

დ. ქალაქ მარნეულის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების და მეჩეთების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის დავალიანების დაფარვა მოხდეს 300 ლარამდე.

2. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით უზრუნველყოს განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად საჭირო ქმედებების განხორციელება ეკლესია-მონასტრებისა და მეჩეთების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველ მოადგილეს ზაურ ტაბატაძეს.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ.მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა №4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N298 განკარგულება.

6. განკარგულება ძალაში შედის 2016 წლის იანვრიდან.მარნეულის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე: ნაბი აბდულაევი